

ქართული ხმარება ილიას პუბლიცისტურ ნაწარმებში

ილიას უმარავ დამსახურებათა შორის ერთსაც აღნიშნავენ: იგია „ქართული პროზის პუბლიცისტური სტილის შემქმნელი“¹. მწერლის სტილს, საერთოდ, ბევრი რამ განსაზღვრავს: „გრამატიკული ფორმების მომარჯვების უნარი, პარალელურ ფორმათაგან გარკვეული ტიპის უპირატესი ხმარება, სიტყვათა შერჩევა მათი აქუსტიკურისა და სხვა ნიშანთა მიხედვით, ერთი ერთმანეთთან შეწყობა და შეხამება, წინადადების გამართვა, აზრთა გარკვეული თანამიმდევრობით დალაგება, მათი ამა თუ იმ მხატვრულ სახეებში გადმოცემა... კონსტრუქცია ფრაზისა და კომპოზიცია თხზულებისა და სხვა და სხვა...“².

პუბლიცისტურ სტილს მიზანდასახულობაც აყალიბებს: პუბლიცისტიკა მწერლის თანადროული საზოგადოების შესახებ და იმავე საზოგადოებისათვის იქმნება. როგორც იტყვიან, ვიდრე მელანი გაშრებოდეს, პუბლიცისტის სიტყვამ თითოეული მკითხველის გულამდე უნდა მიადწიოს. ამიტომ ეს სიტყვა წონიანი (და აწონილიც) უნდა იყოს... ცნობილია, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ილია თავის მწერლურ, განსაკუთრებით კი — პუბლიცისტურ და ჟურნალისტურ მოდგაწებობას. მისი თანამედროვე გრ. ყიფშიძე იგონებს: „... არა იშვიათად გაუთენებია ილიას სულ პატარა მეთაურის დაწერაზედ. ისეთი მეთაურის დაწერაზე, რომელიც რაიმე მწვავე საზოგადო საქმის შესახები და ამიტომ მეტად პასუხისსაგებელი ყოფილა. უკვე დაწერილს, თუ არ მოეწონებოდა რაიმე მიზეზით, ჰხედა შეუწყალობლივ და იწყებდა ხელ-ახლად წერას, და ასე განაგრძობდა, ვიდრე შინაარსითაც, კილოთიც, ელფერიითა და იერიითაც სრულიად არ დაკმაყოფილდებოდა“³.

1 ივ. გიგინეიშვილი, ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა: თსუ შრომები, 69, 1958, გვ. 58.

2 ა. შანიძე, ილია როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის: კრ. „ილიას სამრეკლო“, თბ., 1988, გვ. 127.

3 იქვე, გვ. 133.

ილიას ენასა და სტილზე ბევრი თქმულა. უფრო მეტი კი ალბათ ითქმება. ამჯერად ძალზე კონკრეტული საკითხი გვინტერესებს — როგორ ხმარობს ილია ჩართულებს ფრაზაში. აქ ისეთ ჩართულებზეა გამახვილებული ყურადღება, რომელთა გამოყენება, ვფიქრობთ, ერთხელ კიდევ წარმოაჩენს ილიას არა მარტო როგორც ღრმად მოაზროვნესა და უბადლო პუბლიცისტს, არამედ როგორც დიდ მოძღვარსაც⁴.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია ჩართულების როლზე ილიას მხატვრულ პროზაში. აღნიშნულია, რომ „ჩართული წინადადებები და სიტყვები, რომელთაც მწერალი პერსონაჟთა მეტყველებაში უფრო ხშირად იყენებს, ვიდრე საკუთარში(!), ცოცხლად წარმოგვიდგენს მოსაუბრის (ავტორისა თუ პერსონაჟის) სულიერ განწყობილებას, მის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი. ამავე დროს ისინი მოლაპარაკე პირს საშუალებას აძლევენ მეტყველების პროცესში ერთგვარად „შეისვენოს“, მცირე პაუზა გააკეთოს და მერმე კვლავ განაგრძოს თხრობა, ამბის მოყოლა...⁵.

ილიას პუბლიცისტურ ნაწერებში გამოყენებული ჩართულების უმეტესობას უფრო ღრმა აზრი აქვს და ერთი ზოგადი ნიშანი ახასიათებს — ისინი ავლენენ მწერლის სწრაფვას მკითხველთან უმჭიდროესი კონტაქტის დამყარებისაკენ.

ილიას თავისი მკითხველი გონებრივად და ემოციურად პუდამ დამუხტული ჰყავს. ავტორი თითქოს ცდილობს აიყოლიოს მკითხველი მსჯელობაში, თანაც ისე, რომ უფრო ფიქრი გააანდოს, ვიდრე მზა აზრი მიაწოდოს ამა თუ იმ მტკივნეულ საკითხზე. საინტერესოდ გვეჩვენება, ამ მხრივ, ისეთი ჩართულების გამოყენება, როგორიცაა **ჩვენის ფიქრით** და **ჩვენის აზრით**. წინასწარვე უნდა ითქვას, რომ **ჩვენის ფიქრით** უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე **ჩვენის აზრით**... და იქნებ არც არის შემთხვევითი სისწორული სხვაობა ამ ორ ჩართულს შორის: ილია თითქოს ხაზს უსვამს, რომ მის მიერ მოწოდებული აზრი შეიძლება კვლავ იქცეს ფიქრისა და განსჯის საგნად⁶. გავიხსენოთ მისი შეგონება: „ფეხს ვერ გასძრავთ, თუ საკუთარის ტვინის ძაფები არ ამოქმედეთ, თუ საკუთარი გრძნობა და ჭკუა არ

4 მასალა ამოწერილია ილიას პუბლიცისტიკიდან, იხ. ილია ქავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, IV და V ტომები (შედგენილი ს. ცაიშვილისა და გ. გვერდწითლის მიერ), თბილისი, 1987.

5 გ. შალამბერიძე, ილია ქავჭავაძის ენა, თბ., 1966, გვ. 148.

6 უნდა აღინიშნოს, რომ **ჩვენის ფიქრით** ჩართულის ხშირი გამოყენება დამახასიათებელი ჩანს მე-19 საუკ. ქართული მწერლობისათვის. უინტერესო არ უნდა იყოს თვალის გადავლება იმისათვის, თუ როდიდან და პირველ ყოვლისა — როგორ კონტექსტებში გაბატონდა ქართულ სალიტერატურო ენაში ჩართული **ჩვენის აზრით**.

წამიძღვარეთ, თუ საკუთარი მსჯელობა არ იქონიეთ“⁷. რა კონტექსტებში ხმარობს ილია აღნიშნულ ჩართულებს? ჩვენ სემანტიკურ-სტილური ფუნქციების გამოყოფის ასეთი შესაძლებლობები გვესახება:

1. ავტორი თითქოს არ თვლის თავს კომპეტენტურად, აზრი გამოთქვას ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ან კონკრეტულ მეცნიერულ საკითხებზე. საყურადღებოა მისი მსჯელობა ერთი გრამატიკული საკითხის — სიტყვაწარმოების ირგვლივ: „ისეც არ გავკადნიერდებით, რომ ეს ჩვენი აზრი იმისთანა უცილობელ ჭეშმარიტებად ვაღიაროთ, რომლის წინააღმდეგადაც არა ითქმოდეს რა. ჩვენ იძულებული ვიქნებით ამ საგანზედ ჩვენი აზრი გამოგვეთქვა, არა იმისათვის, რომ ჩვენი სიტყვა გავიყვანოთ, არამედ იმისათვის, ქართული ენის ჩვენზედ უკეთესად მცოდნეთა ყურადღება მიგვექცია ამ ფრიად სამძიმო საგანზე და ამით გამოგვეწვია მათი უტყუარი განაჩენი. ამ საგნის გამო სჯას და ბაასს ჩვენ სიხარულით დავუთმობთ ჩვენი გაზეთის ფურცლებსა“⁸.

ფიქრობს, ვარაუდობს, მსჯელობს ილია... და, თუმცა „სწორი აღლო დიდი მოაზროვნისა სპეციალური ცოდნის გარეშეც მართალ დასკვნას იძლევა“⁹, ამ დასკვნის შემცველ ფრაზას შეტ კონკრეტულობას და ემოციურობასაც სძენს სწორედ ჩართული ჩვენის ფიქრით:

ჩვენის ფიქრით, ერთი არსებითი და უდიდესი ნაკლულევანება ძველის წესებისა ის იყო, რომ ეროვნობის საჭიროებანი და სახელმწიფოსი ერთმანეთში გარჩეული არ იყო (V, 266)¹⁰, ... ჩვენში კანონი თუ იბადება, ოთხ კედელ შუა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ზოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეეკრილი ტანისამოსი. ეს არის, ჩვენის ფიქრით, იმ ყოფის მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთავის, ზემოდან დაჟვარდარებს აჭრელბუთი ქაღალდი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია (V, 175); ჩვენის ფიქრით, ჩვენი ბანკები, რა მხრითაც უნდა გასინჯოთ, გამოსადეგნი არიან ჩვენის ქვეყნისათვის... (V, 365); საჭიროა, ჩვენის ფიქრით, გამოკვლევა მის, თუ რა ნერგზედ არის აღმოცენებული... მეოთხედობა და რა ეკონომიური ზემოქმედება აქვს ქუეყნის ნივთიერს კეთილდღეობაზე (IV, 305); ჩვენის ფიქრით, ამ სახით განადღებული ფული ძირის ფულად უნდა დაიდვას; რუსეთის ზახინამ უნდა ჩაიბაროს და მონასტრებს შხოლოდ მისი სარგებელი აძლიოს (V, 18); მეორე განსაკუთრებული თვისება ჩვენის ენისა, რომელიც, ჩვენის

7 ილია ქავჭავაძე, ქუუა ურჩევს, ანა იტყვის, თბ., 1978, გვ. 49.

8 ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

9 არნ. ჩიქობავა ილია ქავჭავაძე უნის შესახებ; ენიმის მოამბე, II, 1937, გვ. 27.

10 წყაროს მითითებისას პირველი (რომაული) ციფრი ტომის ნომერს აღნიშნავს, მეორე (არაბული) — გვერდისას.

ფიქრით, ენის წარმატებულობის მომისწავებელია, ჩვენი ზმნებია და ნამეტნავად მისი მართლაცდა გასაკვირველი ფორმები (IV, 76).

2. სხვა შემთხვევაში ფიქრი და განსჯა ილიასათვის უკვე ნათელ, უდავო აზრად არის ჩამოყალიბებული. ოპოზიცია შეიძლება არც ივარაუდებოდეს. მაგრამ ფიქრის საგანია ერის ზნეობა, ქვეყნის სწორი სამომავლო გზა. ამიტომ ილიას მკითხველის (მსმენელის) ყურადღების გამაზვიელება, „გონების ვარჯიში“ სჭირდება... ამ მიზნის შესაბამისად არის აგებული ფრაზაც, რომლის ემოციურ ზემოქმედებას მკითხველზე ჩვენის ფიქრით ჩართულიც ზრდის:

ჩვენის ფიქრით, თავმოწონებულს ოქროს და ვაზვიადებულს ხმაღს, ამ ორს პატიოსან მერტოქეს დაპეწყებით, რომ ქვეყანაზედ მაგათ გარდა არის ერთი კიდევ რაღაცა, რომელსაც თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში... [გულისხმობს ცოდნას, განათლებას] (V, 248); ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთენილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყოფელი. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და, ჩვენის ფიქრით, ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე-ხასიათ გაწურთენილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანუვითარებული და ზნე-ხასიათ გაწურთენილი (IV, 209); ჩვენ ესა ვსთქვით იმიტომ, რომ ვაჩვენოთ, სადამდის შეუძლიან, ჩვენის ფიქრით, ვაიწვდინოს ხელი ან ძველის მცველმა და ახლის უარყოფელმა, ამ ძველის უარყოფელმა და ახლის მდომელმა, რომ ჭეშმარიტს კონსერვატორობას და ლიბერალიზმს არ ვადისცდეს (V, 222).

და რომ ეს ფიქრები ერზე მზრუნველისა გულითად, კეთილშობილურ სურვილებსაც შეიცავს, იმიტაც მქლავნდება, რომ ილია შესაფერისი მსაზღვრელით განავრცობს ზოგჯერ აღნიშნულ ჩართულს:

ღიაბ, ბატონებო, ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთს ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანა (V, 249).

3. ილიას — გონებამახვილ პუბლიცისტსა და ენაბასრ პოლემისტს, რომლის დაუნდობელმა ტონმა თავის ღროზე იქნებ არცთუ უსაფუძვლოდ გაანაწყენა „მამათა ბანაკი“¹¹, მოწინააღმდეგის დანდობა და თავშეკაცებული გაკილვაც ხელეწიფება. ამის დასტურია თუნდიც ჩვენის ფიქრით ჩართულით აგებული ასეთი ფრაზები:

თუმცა ბ-ნი იანოვსკი... უეჭველად კეთილის განზრახვით არის აღძრული... მაგრამ მისგან ამორჩეული გზა, ჩვენის ფიქრით, სრულებით არ შეეფერება არც მის განზრახვასა და არც მის სიკეთის სურვილსა (IV, 192); ვინც ორთა შორის უკეთესს არ მისცა... მხარი, იმან... სამი წლით მაინც შეაფერხა ის გაღვიძებული აზრი, რომელიც გამოითქვა ჩვენის ქვეყნის შესახებ... და ეს ამბავი, ჩვენის ფიქრით, მცირე შეტოდებად არ ჩაითვლება (V, 292).

ერთგვარი მორიდებულობის ნიშანია ისიც, რომ ამგვარ ფრაზებშიც ჩვენის იხმარება ჩემის მნიშვნელობით (ჩემის განსაკუთრებით გამომწვევი იქნებოდა პოლემიკისას...).

რა შინაარსისაა ფრაზები, რომლებშიც ჩვენის აზრით ჩართულია ნახმარი? ეს არის ავტორის ყურადსაღებია აზრის ამსახველი ფრაზები, — აზრისა, რომელიც განსჯას აღარ საჭიროებს. მაგალითად:

ეს გადაწყვეტილება [რომ საზოგადო კრებამ გადასწყვიტა შესწიროს თელავის სასწავლებელს ასი თუმანი, თან სურვილი გამოაცხადა, რომ ეს ფული ქართული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად მოხმარებულ იქნასო] ღირსშესანიშნავია, როგორც ხმა მთელის საზოგადო კრებისა, და — ჩვენის აზრით — საყურადღებოა თვით სწავლ-ვანთების გამკეთთვის (V, 232); ამ საქმეს [სამუშაო სასწავლებლის დაარსებას ღარიბთათვის] აქვს კიდევ მეორე მხარე, რომელიც, ჩვენის აზრით, არანაკლებ ღირს-შესანიშნავია და მნიშვნელობით აღსაყვამ ჩვენის ცხოვრებისათვის... [ეს] სკოლა იქნება... მოსამზადებელი სასწავლებელი... (IV, 240).

საყურადღებოა, რომ, როცა ინფორმაციის წყარო სხვა პირია ილია უმეტესად... მისი/მათი აზრით, ან მისი/მათი სიტყვით ჩართულებს იყენებს. გარკვეული სტილური ნიუანსები ამ ჩართულთა გამოყენებაშიც დაჩნდება:

1. ილია გვაწვდის (იმოწმებს) რომელიმე ავტორის (ან ბეჭდვითი ორგანოს) აზრს ნეიტრალურად, ქვეტექსტის გარეშე:

...დრეპერის აზრით, ეს [სიბერე და სიკვდილი] ყველა ერისათვის გარდაუვალი კანონია, როგორც ცალკე აღმინანისათვის: ამას ვერც ერთი ერი ვერ წაუხვია, ვერ გადასცდებია (IV, 13); ყმაწვილის სწავლება უნდა დაიწყონ, ერაზმის აზრით, შვიდ ანუ რვა წლიდან, იმისდა მიხედვით, თუ სულით და ხორციით რა ღონისაა ყმაწვილი (IV, 224); მისი სიტყვით, ამ მეთოდმა [შედარებითმა მეთოდმა] იმისთანა გზა გავიჭრა, რომლის შემწეობითაც დღეს შესაძლოა მთლად და უეჭვოდ დაერწმუნდეთ იქ, საცა უწინ მართო ამოცანებით და ეჭვით ლაპარაკი იყო (IV, 24); პოლშელ დეპუტატებმა, გაზეთების სიტყვით, თურმე ერთბაშად სთქვეს, რუსული არ გვესმისო, რადგან იცოდნენ, რომ მათ ზურგს უკან რაჟდენა მილიონი ხალხი ამოჟვარებოდა (V, 230); ერთმა კიდევ ქართველმა იმოდენა ვულის სიკეთე და ჩვენი სიყვარული გამოიჩინა, რომ სამასი თუმანი შესწირა მაგ საქმეს [სამუდამო ქართული სცენის დადგენას] „დროების“ სიტყვით (V, 177).

2. სხვის აზრს ირონიით გადმოგვცემს, გვაგრძნობინებს, რომ ეს აზრი საბუთიანობას მოკლებულია, უმწიფარია... და ხშირად მის გასაბათილებლად მოპაექრისავე წინააღმდეგობებით საგსე მსჯელობა გამოდგება. ასეთ კონტექსტებში შეიძლება შეგვხვდეს ჩვენთვის საინტერესო ჩართულის სამივე ვარიანტი: მისი ფიქრით, მისი აზრით, მისი სიტყვით:

ამ ჩემის სუსტის ღვაწლით მსურსო განუღვიძო რუსეთის ინტელიგენციას წყურვილი უფრო ღრმად და ზედმიწევნით შეისწავლოს ეს ბევრგვარად საინტე-

რესო [სომეხი] ერი, რომელიც, ავტორის ფიქრით, სხვა ამერ-კავკასიის ტომებზედ უმრავლესია, უფრო განვითარებული მოქალაქეობრივად (IV, 12); სომეხთა მწიგნობარნი და ფილოსოფოსნი დღეს-აქამომდე ვაქაცობას არ შეგვიღეუ-
 შიან, რადუნაც, იმათის აზრით, ვაქაცობა სულელობაა, გიჟ გრაცუნას საქ-
 მება (V, 57); ავტორის სიტყვით, 1311 წლის წინად ქრისტეს შობამდე არაგის უხსენებია ქართველი თესლი. მოსე წინააწარმეტყველი, რომელმაც, ავ-
 ტორისავე სიტყვით, პირველად ახსენა ქართველთა ნათესავი, გარდიცვა-
 ლა 1480 წ. ქრისტეს შობამდე (IV, 37); ... ეს სულიერი ბატონი და პატრონი სომ-
 ხებისა... ეს მათი მწყემსთმთავარი თან გაჰყოლია, 6-5 ეზოვისავე სიტ-
 ყვით, ვახტანგის ხარბს, ვაჟმადარსა და შეუბრალებელს ერსა, ქართველების
 კალოთას შეტყულებია და ტფილისში შეუფარებია თავი მთელს ოთხ თვეს (V,
 68); ... კაცი, რომელმაც ღირსშესანიშნავი ფსალმუნები დაწერა და რომელიც,
 ავტორისავე სიტყვით, ქართველ ყმაწვილებს ჰგზავნიდა სამეცნიეროდ
 ათონს, ეს კაცი სიბერემდე უფიცი იქნებოდა წერა-კითხვისა? (IV, 55).

თვით ილია, როგორც აღვნიშნეთ, უდიდესი პასუხისმგებლობით
 ეკიდებოდა თითოეულ საკუთარ სიტყვასა და ფრაზას. შიშობვევითი
 არ უნდა იყოს, რომ მის ჰუმბლიცისტურ ნაწერებში ხშირად ვხვდე-
 ბით დამაზუსტებელ და დასაბუწვად მოწოდებულ ჩართულ გამო-
 თქმას — **(ანუ) უკეთ (რომ) ვსთქვათ:**

1. მკითხველთან საუბარში მწერალი ცვლის სიტყვას, რომელსაც
 ტერმინის ტოლფასად თვლის:

ღალა არის ის სასყიდელი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ის მიწის ქირა, რომელსაც მიწის მოქმედი იხდის მიწისპატრონის სასარგებლოდ (IV, 305); შენ,
 ოქროვ, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი; უჩემოდ გაბათილებული
 ვექსილი ხარ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ვაკოტრებული კაცის თამაშე (V,
 249); ერთი უმოვარესი სასარი ცოდნის შექმენსა — სკოლა, და იმ ცოდნისა,
 რომელიც გუთანს, ანუ უკეთ ვსთქვათ, მიწის-მოქმედებას ხელს უწყობს
 და შეტდერის, — სამეურნეო სკოლა (V, 250); ცხადია, რომ ადამიანისთვის უსარ-
 გებლოს ვაცება და სამაგიეროდ სასარგებლოს შექმენა, — სასარგებლო, ანუ,
 უკეთ ვსთქვათ, მოგება უნდა იყოს (V, 323); რაღა თქმა უნდა, არც ამას
 დაიჯერებს ჩვენი ავტორი... ეგ მისი ნებაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თვით-
 ნებობა და პირვეულობა (IV, 65).

2. ჩართულით ხაზგასმულია, რომ სიტყვა (ან ფრაზა) იცვლება,
 რათა უკეთ დახასიათდეს მოვლენა; აზრს მიეცეს მეტი სიღრმე და
 შემოქმედების ძალა (ამ ჩართულის შემცველი ფრაზები ძირითადად
 შეგონებებია). მაგალითად:

ზოგად კიდევ, როგორც სახელმწიფოში საზოგადოებას, ისეც საზოგადოებაში
 ცალკე ადამიანს, ანუ უკეთ ვსთქვათ — ადამიანის პირიქეობას, თავისი
 საკუთარი უფლება შერჩა (V, 287); ყოველი კაცი ბედნიერებისათვის იღწვის, მა-
 გრამ ყოველს კაცს მიჩნეული არა აქვს თავის საკუთარ ბედნიერებად სხვის ბედ-
 ნიერება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თავისი საკუთარი ბედნიერება სხვის ბედ-
 ნიერებასთან განუყოფელად ყოველს კაცს ვერ გაუერთებია (IV, 397); საქმე კაი
 დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე
 დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვა (IV, 276); წრთენა ზენ-ხსიათისა

ზრდა, ვარკვევა მისი სულიერის ვინაობისა, სულიერი ბუნებისა, ანუ, უკეთეს თქვათ, მისის კაცობისა, ადამიანობისა (IV, 21).

ჩართულის ფუნქციით ილიას ნაწერებში გვხვდება სხვა ზმნები თუ ზმნური შესიტყვებებიც. ეს არის ძირითადად ე. წ. „მეტყველება-წრის“ ზმნათა პირველი პირის ფორმები, რომლებიც გულისხმობენ მეორე პირისადმი მიმართვასაც. ეს ზმნები, როგორც წესი, მრავლობით რიცხვში იხმარება, რაც, გარდა განზოგადებისა და თანაზიარობისა, იმედროულად ერთგვარ მოკრძალებასაც გამოხატავს.

1. ვსთქვათ (=დაფუშვათ) — ძირითადად გამოქვეყნებულია პოლემიკურ ან რიტორიკული კითხვის შემცველ ფრაზებში:

ჩენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა ომობდა, სისხლს დვრიდა... ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა უოფს?... (IV, 150); ვთქვათ, ასეც იყო, რომ საქართველო არც სამეფოდ ყოფილა ოფესმე, არც მისთა მპყრობელთ ზარისხი მეფობისა არა ჰქონიათ, ვთქვათ, არც ერეკლე მეფეს, არც ვიორგის არ ეკუთვნოდა საქართველო, მაშ ვინ ჩააბარა იგი რუსეთს? (V, 75); ვთქვათ, მართლა ასეთნი ღარიბნი ვიყავთ და ვართ კიდევც. — ამით მითამ რაო? (V, 61); ვთქვათ, ბნ ეზოვს ღმერთმა იმოდენა უნარი შეეცინერებისა და მართლმოყვარეობისა არ მისცა, რომ ეს საქმე გამოერკვია უცხო ენით დაწერილი წიგნებში, თავისი სომხური წიგნები მაინც წაეკითხა... (V, 62).

შეიძლება შეგვხვდეს იგივე ჩართული ნეიტრალურ მსჯელობაშიც, მაგალითად ზმნისართის სინონიმად:

... როცა აღება მინდა, ვსთქვათ, პურისა ჩემდა სახმარად, მარტო იმას ვეძებ, ვინც პურის გამცემია, და როცა, ვსთქვათ, ღვინის გაცემა მინდა, მაშინ იმას ვეძებ, ვინც ღვინის ამღებია (V, 327).

2. ვიმეორებთ. ეს ზმნა ჩაერთვის ფრაზაში, როცა ხდება ემფაზის მიზნით ე. წ. „ფიქსირებული ფორმის გამეორება“¹², ან ძირითადად აზრის გამეორება მომდევნო წინადადებაში. მკითხველის ყურადღება ფიქსირებულია, ფრაზის ემოციური ძალა აღმავალი ხაზით მიემართება:

ნუთუ ხალხი სტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია, სტოვებს — ვიმეორებთ — მამულს, დედულს, სახლ-კარს, ადგილს, საცა დაიბადა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა, — და მღერის საღ? ოსმალეთში?... (V, 170)... რათ მიზბის ხალხი, მერე როგორ მიზბის? ვიმეორებთ — სულ ყველაფერს სტოვებს... (იქვე); კამისია ისე მოქცევიდა ზემოაღნიშნულ საგანს [ფულს შეკრებას შვილების აღსაზრდელად], როგორც, ჩვენ ვიმეორებთ, საზოგადოდ ყოველ ამ-გვარ საქმეს მოვექცევით ხოლმე გულგრილად და გულცივად... (IV, 263); ...[წარსულის] ნაშთის დღეს ჩვენ აღარა გავვეგება რა, ვიმეო-

რებთ, იმიტომ რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და გამმართველი ისტორია (IV, 167).

3. ვამბობთ//აკი ვამბობთ — იხმარება ვიმეორებთ ზმნის მსგავსი ფუნქციით:

ნუთუ თითონ საქმე, ურომლისოდაც მთელი ქვეყნიერობა ერთს არეულს და ერთმანეთის მკამელს მხევთა გროვას წარმოადგენდა, ნუთუ, — ვამბობთ, — თითონ ეგ საქმე დიდი არ არის მართო იმიტომ, რომ ბუკითა და ნაღარით არ იჩენს თავსა... (IV, 412); ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღვევლობა მართო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ „ჩვენ“ ჰქონდა სახეში და მერე „მე“. უამისოდ, აკი ვამბობთ, ჩვენი ცხოვრება ერთ წუთსვე მოისპობოდა (V, 357); უკეთესნი და უდიდესნი მოქმედნი ერთისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის ვულის-ნადების და წყურვილის გამოშხატველნი და გამხორციელებელნი... ამიტომაც ეს ამისთანა მოქმედნი, ვამბობთ ჩვენ (=ვიმეორებთ), დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერა კიდევ ერთობა ჰსურს და დღე-ღამეის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუღვია თავი (IV, 153); კენი-ნა ნინომ, — ვამბობთ ჩვენ, — (=ვიმეორებთ) დასთმო ყოველივე ეს დამ „მოყალობას, ღირსებას და მნიშვნელობას“ ქეშმარიტის დედაკაცობისას შესწირა, შეაღია თავისი სიცოცხლე, რომელსაც იხსენიებს თავის ქადაგებაში გარეულ ებესკობოს (IV, 409).

ამ ზმნების ჩართულად კვალიფიკაცია შეიძლება სადავო საკითხთა რიგში დადგეს. ცნობილია, რომ ზმნური ჩართულების ერთი ნაწილი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მოშლის შედეგადაა მიღებული. ზმნა ძნელად ცვდება, ძნელად კარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას, მით უმეტეს — ქართული ზმნა, რომელიც მთელი წინადადების ტოლფასია. ჩვენ მიერ დადასტურებულია შემთხვევები, როცა ჩართულად გამოყენებული **რასაკვირველია, ცხადია** და მსგავსი ფორმები, თუნდაც ერთი დამხმარე სიტყვით გავრცობის შემთხვევაში, კვლავ რთული წინადადების ნაწილის როლში გამოდიან¹³. და მაინც, ჩვენ შესაძლებლად ვთვლით შემოაღნიშნული ფორმების განხილვას ჩართულად, რადგან ვავითარებთ იმ აზრს, რომ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა პოზიციაში და სტილისტიკურად სხვადასხვაგვარად დაცვირთული (სხვადასხვა ლოგიკური მახვილის მქონე) შეიძლება სხვადასხვა სინტაქსურ ერთეულად იქნეს რეალიზებული¹⁴.

გადაჭრით თქმა ჭირს, მაგრამ პუბლიცისტური სტილის სიმწვავე, ლოგიკური მახვილის ინტენსივობა წელს უნდა უწყობდეს ზოგიერთი

13 ნ. ცეციტიშვილი, ჩართული: ქსკ, VIII, 1988, გვ. 268.

14 დაწვრილებით იხ. დასახელებული წერილი. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს საწინააღმდეგო, დასაბუთებული აზრები: მოდალური ზმნები (მათ შორის — მგონი(ა), ვფიქრობ...) ინტერპოზიციაში მთავარი წინადადება. იხ. ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, ზელნაწერი (იბეჭდება), გვ. 74—81.

სინტაქსური ერთეულის ახლებურ ხორცმცხმას ფრაზაში. საინტერესოა ამ მხრივ ილიას მიერ ხშირად ხმარებული ზმნური შესიტყვება **კიდევ ვიტყვიო//კვლავ ვიტყვიო**. ნეიტრალურ თხრობაში, ფორმალური სინტაქსური კრიტერიუმებით, ეს გამონათქვამი მთავარი წინადადებაა, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი ჩართულადაა რეალიზებული შემდეგ ფრაზებში:

კიდევ ვიტყვიო, აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლება, გამოშხნეგება, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამოკვევა სიბნელისაგან (IV, 169) [საუბარია დ. ბაქრაძის ლეაქლზე და წინა მსჯელობა ამ აზრის განვითარება]: ესლა ვაჟკაცობა თმისა კი არ უნდა, რომ სისხლსა პღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი პღვაროს. კიდევ ვიტყვიო, ქვეყანა ესლა იმისაა, ვინც ირგება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა (IV, 176)... ვარაუდობთ: განკითხვა ადამიანის სინდისისა და ჩირქის მოცობა დიდი უკადრისობაა და, კიდევ ვიტყვიო, ადამიანის პირფენების უფლებების სრული უარყოფაა (V, 290).

ეს შესიტყვებები ხშირად წინ უძღვიან ფრაზაში ჩართულ ანდაზებს:

მართალია, ქვანი არ სტყუიან, მაგრამ, კიდევ ვიტყვიო, კარგ მოქმელს კარგი გამოვნიც უნდა (V, 81); ... ნიშანში ამოღლებინებიათ მართო ქართველები, არადგანც, კვლავ ვიტყვიო, „აილიას დარდი ფლავია“ (V, 52).

სემანტიკურად აღნიშნული ზმნური შესიტყვებები შემდეგი ზმნებისა და გამოთქმების სინონიმებია: **(გა)ვიმეორებთ, აკი ნათქვამია, დავსძინთ, მეტხაც ვიტყვიო, უფრო მეტიც...**

ახლა განვიხილავთ ავტორის ემოციური განწყობილების ამსახველ ჩართულ შესიტყვებებს, რომელთა პირველი შემადგენელია შემდეგი ზოგადი არსებითი სახელები — **ერი, ქვეყანა, კაცნი** (ნათესაობით ბრუნვაში) ან **და (=თვის)** თანდებულებანი პირის ნაცვალსახელი (**ჩვენდა, თქვენდა, მისდა**); მეორე შემადგენელი კი — ერთ-ერთი ზმნისართი შემდეგ ანტონიმურ წყვილითაგან: **საუბედუროდ — საბედნიეროდ** (//**საკეთილოდ**); **სამწუხაროდ — სასიხარულოდ** (//**სანუგეზოდ**); **სამარცხვინოდ — სასახელოდ** (//**სასიქადულოდ**).

თანამედროვე ქართულში აღნიშნული შინაარსის ჩართულები უმეტესად ოდენ ზმნისართით არის წარმოდგენილი. გვგვდება **ჩვენდა** ნაცვალსახელით შედგენილი შესიტყვებებიც (ყველაზე გავრცელებულია **[ჩვენდა] სამწუხაროდ, საუბედუროდ, საბედნიეროდ** ზმნისართები). ნებისმიერ პოზიციასში აღნიშნული ზმნისართები ჩართულის ფუნქციას ასრულებენ.

ილიას პუბლიცისტურ ნაწერებში ნახმარი ჩართულის კონსტრუქცია ღრმა ემოციური შინაარსის მატარებელია: მწერალი აუცილებლად თვლის, ხაზი გაუსვას, თუ ვისთვის არის ავის მათყუებელი ან სიხარულის მაცნე მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია — ერისთვის,

ქვეყნისთვის თუ ცალკეული პიროვნებისათვის. მაშინაც, როცა ჩართული შესიტყვეების პირველი წევრი ჩვენ ნაცვალსახელია, იგი ფორმალური „თავაზის“ ჩვენ (=მე) როდია, არამედ, ილიასევე რომ დავ: — სესხით, „გულშტეკივინული ჩვენ“ არის, რომელიც ჯაბნის „გულქვა მე“-ს. ილია მკითხველს კი არ შესჩივის, არამედ მკითხველთან ერთად ჩივის, მსჯელობს ცხოვრების უკულმართობასა თუ მოუგვარებელ პრობლემებზე.

ერთსაც შევნიშნავთ: სახელთან დაწყვილებული ზმნისართუბო ნაზმნარ სახელებს უტოლდებიან და მთლიანად შესიტყვება (განსაკუთრებით — მოკლე ფრაზასა და შემასმენელთან ახლო პოზიციაში) შეიძლება მიზნის გარემოების ფუნქციასაც ასრულებდეს. მაგალითად:

„...განა არ გიციოთ, მზილება არაფრად ევაშნიკება ავის მქნელსა, მაგრამ განა ეს საბუთია! თვალი დავიბრმავოთ, ყურებში ზამბა დავიცოთ და ენა მოვიჭრაო, როცა იგი ავი ჩვენ თავში გვცემს, ჩვენს არაართობს ჩვენ და სამარცხუნოდ (= ჩვენს შესარცხვენად) საქეყნოდ ჰღაღადებს (V, 28); ჩვენ და სახუნგეშოდ (= ჩვენს სახუნგეშებლად) ამასაც ვიტყვიოთ, რომ დღეს ყოველი კაცი, დიდ თუ პატარა, ჰვრძნობს, რომ ეგ მავისთანა კრება კენჭის სათამაშო ყრილობა არ არის... (V, 279).

შეიძლება გამოიყოს ფრაზასთან ჩვენთვის საინტერესო ჩართული შესიტყვეების სემანტიკურ-სტილური მიმართების შემდეგი შემთხვევები:

1. გადმოცემული ამბის, ქმედების ჩამდენი, წინადადების ზმნა-შემასმენლის სუბიექტი ერთია, ამ ქმედებით მიყენებული წუხილის, ზიანის, ზარალის, უბედურების ობიექტი — ჩართული შესიტყვეების სახელი-დამატება კი — სხვა. ამასთან, სუბიექტი ერთი პირია, ან საზოგადოების შედარებით მცირე ნაწილი, ობიექტი კი — მთელი საზოგადოება. ილია ყურადღებას ამახვილებს სხვის მოქმედებასა თუ თვისებაზე, რითაც თავის ერს აფხიზლებს:

„...ცხადად გამოხატულია მთავრობის გულითადი მეცადინეობა, რომ ეს აუცილებელი ცვლილება ორივე მხრისათვის სამართლიანად მოახდინოს. ამასი მთავრობას ყოველივე ჩვენი თანაგრძნობა ეკუთვნის. მაგრამ, ჩვენ და სამწუხაროდ, მთავრობისაგან აღნიშნულის გზით, განზრახული მისგან ცვლილება აუსრულებელია (IV, 311); მართალია, ვისაც — ევროპიელს თუ რუსს — საქუთარის თვალით მოუჩნრეკია ჩვენი ავი და კარგი, ზოგიერთს რასმე ჩვენთვის სახუნგეშოსაც ამბობენ, მაგრამ, ჩვენ და სამწუხაროდ, ცოტანი არიან ამათში იმისთანანი, რომელიც „თავისის სიტყვის საფუძველი სხვის გულისთქმანზედ არ დედვას...“ (V, 22); საჭიროა მთხელემ კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულნება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს. ჩვენ და სამწუხაროდ, ეს დავიწყებულია დღევანდლამდე ჩვენში და თითქმის უარყოფილიც (V, 173); ბევრი კაცი, და იქნება იმისთანა უხეირო რეაქტიაც სადმე იყოს, კაცთა საუბედუროდ, რომელიც ძალზე იქაქება

და ბუკითა და ნაღარით გაიძახის ამ შეუხებლობას ადამიანისას, მაგრამ წარამა-
რად მოტანტალე კორუპონდენტს სიხარულით კარს უღებს... (V, 113); ჩვენ და
საუბედუროდ, ჩვენი დიდკაცობა შორს მანძილზედ არის დარჩომილი ამ
მხრით და ქვეყნისათვის დადებული ღვაწლი არამც თუ ადამიანის ღირსების მხო-
ლობით საწყაოდ მიაჩნია... არამედ მის ცხოვრების დავთარში სახსენებელადაც
მოხსენებელი არ არის (V, 269); ვაი თქვენი ბალო, საწყალო ბავშვებო, არ გე-
ყრათ განა ამდენი აზნანები, რომ „ნათიურნი“ აზნანიც, თქვენ და საუბე-
დუროდ, არ გამოჩენილიყო? (IV, 232).

2. ჩართული შესიტყვეების პირველი სახელური კომპონენტი —
ობიექტი და წინადადების ზმნა-შემსამენლის სუბიექტი ერთმანეთს
ემთხვევა. მწერალი აფრთხილებს კაცსა თუ ერს, რომ იგი თავისთ
ქმედებით თუ უცილობით „თავსა იენებს“...

არ ვიცით, სხვა როგორ ჰქონდა და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის და-
ცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის
ისტორიას ივიწყებს (IV, 153); ... [ზეზლობა] ვითომ იმერლებს უფრო სჭირთ,
ვიდრე ქართლებსაო. არა გვგონია კი, რომ ქართლები ამისთანებში იმერ-
ლებს ჩამოუვარდნენ. ეგ სიკეთე, ჩვენ და საუბედუროდ, ყველას საერთო-
და და ერთნაირადა გვეპირს... (V, 381); დღეს ჩვენშიც კი ბევრი არ არის იმისთანა-
კაცი, რომ არ იცოდეს — რა კარგი რამ არის ადამიანისათვის ცოდნა, სწავლა და
განათლება. კარგი რამ არის, მაგრამ ჩვენ და სამწუხაროდ, მეტად ფეხ-
მოკლედ გვესმის ეს სიკეთე ცოდნისა და სწავლა-განათლებისა (IV, 368).

უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბობს ჩართულის ისეთი მიმართება
ფრანსსთან, რომლის დროსაც სუბიექტ-ობიექტი სხვადასხვაა; განსა-
კოტრებით მაშინ, როცა ჩართულის პირველი კომპონენტი დადებითი
შინაარსის მქონე ზმნისართია (საბედნიეროდ, საკეთილოდ, სანუგე-
შოდ). ამას თვით ზმნისართის სემანტიკაც განსაზღვრავს: ნუგეშს სხვის-
გან ველით, სიხარული სხვამ უნდა მოგგვაროს...

მაგალითები:

ჩვენ და საბედნიეროდ... ზოგნი ჩვენში, რუსული ლიტერატურის
მეოხებით ვაზრდილნი და გაწუბრებულნი ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლი-
ტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამით კერ გამოუძიებიათ მისი ვამო-
ნარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენ და სასუგე-
შოდ, მართო ამას არ დასჯერებია: იმეგ კრიტიკით და გამოძიებით მხარ-და-მხარ
ასდევნებიათ ამ ლიტერატურის წანსვლასა (IV, 278); ჩვენ და სასუგეშოდ,
დღეს აშკარადა სჩანს, რომ ბევრს ჩვენგანს გული ვასნია საქვეყნოდ, ბევრს ჩვენ-
განს უგრძნია და უცვნია ის ტკივილები ქვეყნის ტკივილებად... (V, 273); ჩვენ-
და სასიხარულოდ, ჩვენშიც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა
ერისათვის გარჯილი კაცისა... (V, 304); განთავისუფლებულს გლესს დაბინავება უნ-
დოდა, უამისოდ გლესის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა, რომ კაცისთვის გე-
თქვათ: წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიშშილით მოკვდეო. ჩვენ და სა-
კეთილოდ, ეს ასე არ მოხდა. გლესს ბინა მიეცა, მიწა მიეცა... (IV, 301)...
ოლონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევეუბ-
რდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენ და სასიხარულოდ, კვლავ

დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდს ხნით განწორბულს მას ძმურადვე შეითვისებს... (IV, 11).

ამ უკანასკნელი **სასიქადულოდ** ზმნისართის სინონიმი **სასახელოდ** უმეტესად უკუტყევით თავის(და) ნაცვალსახელთან ერთად გვხვდება (წინადადების სუბიექტი და ჩართული შესიტყვების დამატება ერთი და იგივე პირია):

... ჩვენმა ახალმა თობამ, თუ თავისდა სასახელოდ ქეშპარტის ლიბერალობის მიმდევარია, ვგვევ [... ღირსება, პატიოსნება...] უნდა ღაიწეროს თავის დროშაზედ და ყოველივე ამის წინააღმდეგ მომქცევი უნდა ზიზღით სდევნოს... (IV, 289); მართალია, ამ ბანკების საწარმოებელი ფული, თავის სასახელოდ, თავდა-აზნაურობამ გამოიღო, მაგრამ ყველანი ჰკრძნობენ, რომ მართო ამ სკოლაზედ არ უნდა შეჩერებულიყო ჩვენი თავდა-აზნაურობა... (IV, 266); ეს გაზეთი, თავისდა სასახელოდ, ჩაგვრულთა მოსარჩლეა... (V, 85); სამხედბს რაც გინდ დაბრალეთ, და ორგულობას სარწმუნოებისა კი ვერავინ შესწამებს. პირიქით, მათ, თავისდა სასახელოდ, კარგად იციან ფასი თავისის სარწმუნოებისა... (V, 109).

განხილული ჩართული შესიტყვებები ზოგჯერ ერთგვაროვანი წევრებით არის შედგენილი (უმეტესად ჭგუფდება დადებითი შინაარსის ზმნისართები). შესაბამისად იზრდება ფრაზის ემოციური ზემოქმედება:

„ იგი [გაზეთი „Петербургские ведомости“] დაუცხრომლად ჰღალატებს, თავის სასახელოდ და ჩავრულთა საოხად, რომ სიმტკიცე სახელმწიფოსი... უნდა ემყარებოდეს ერთსულობაზე და არა ერთსახობაზე, ერთფერობაზე (V, 79); ის კაცი მართო თავისის თათსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და, თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ, აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად (IV, 254); ... ქვეყანაზე რომ ბაჟი ედოს თავისის თავის ქებასა და სხვის ძაგებას, რამდენი სომეხი მეცნიერი დამუნჯდებოდა სომეხთა სასახელოდ და ჩვენდა სამშვიდობოდ (V, 78); ამ საქმის დამწყებთა სადიდებლად და ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენ ეს უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში ქალების მხრით თავისის საკუთარის ძალ-ღონით ბურთის გატანისა ცხოვრების მოედნიდამ (IV, 443); ამ ბოლო დროს, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ, მრავალი სხვადასხვა საზოგადოება სდგება ხოლმე ჩვენში სხვადასხვა საჭიროების დასაცმყოფილებლად (IV, 236).

ოდნავ განსხვავებული ნიუანსები ახლავს ამგვარი ჩართულების ხმარებას მწვავე პოლემიკურ წერილებში. ფრაზის სიმწვავე ჩართულ შესიტყვებებშიც იგრძნობა. ამ შესიტყვებებით, მაგალითად, ხაზგასმულია მოწინააღმდეგის ბუნება — მეტოქის სიკეთის მიმართ უური და მისი ავით გახარება:

დიან, ბატონებო, ურარტელნი ქართველთა წინაბარნი ყოფილან, სამწყუხ-
 როდ — თუ ბ-ს გოლსტრემისა არა, იმ... გუნდისა, რომელიც საცა
 კი სხვის კარგს რასმე დაინახავს, მსუენავსავით მამინვე ხელს სტაცებს... (V, 84);
 ვთქვათ, ქართველები, ბ-ნ ეზოვის სასიხარულოდ, ყოვლად საძაგელნი
 არიან, ზოლო ქართველების საძაგლად ხსენება იქ რა შუამთა, საცა საუბარია
 О сношениях Петра Великого с Армянским народом? (V, 71); უნდა გამოვტყდებ
 ჩვენი კორესპონდენტის სასიხარულოდ, რომ იმ ოთხს ბრალ-
 თაგან, რომელსაც იგი მე მწამებს, მარტო ამ ამბავს აცხია მართლის ნიშანწყალი...
 (V, 124).



ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევებს ჩართულის ხმარებისა შეი-
 ძლება ვარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს ილიას სუბლიციტური
 სტილის დასახსიათებლად. წარმოჩნდა სადავო საკითხებიც ჩართუ-
 ლის კვალიფიკაციისათვის... მაგრამ აქვს თუ არა ამგვარ კვლევას
 წმინდა პრაქტიკული ღირებულება?

ამა თუ იმ ჩართულის სტილური ფუნქციების გამოყოფა და და-
 ხსიათება ხშირ შემთხვევაში მაინც სუბიექტურია. სუბიექტური ხედ-
 ვა კი ძნელად მოგვეცემს ზოგადი, ნორმატიული ხასიათის დასკვნების
 გამოტანის უფლებასა და შესაძლებლობას. ჩვენი ფიქრით, ჩართულ-
 თა ხმარების თვალსაზრისით დაკვირვება ქართული სალიტერატურო
 ენის ძეგლებზე, განსაკუთრებით კი — კლასიკოსთა ენაზე, იმით იქ-
 ნება ფასეული, რომ ხელს შეუწყობს „გონების ვარჯიშს“ საიმისოდ,
 რომ ჩართული კონტექსტის შესატყვისად გამოვიყენოთ, — ისე, რომ
 იგი უზღებოდეს ფრაზას და ნამდვილად იყოს წინადადების აქტუა-
 ლიზების ერთ-ერთი საშუალება; მეორე მხრივ, ხელს შეგვიწყობს
 აღბათ იმაშიც, რომ წერისას თუ მეტყველებისას არ მოვექცეთ
 „უფორმო სიტყვების რკალში“, როცა მეტყველებას „აზრი აღარ
 განაგებს“¹⁵.

დასასრულ, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეტყველების ნიჭს
 ისეთი ვარჯიშობა უნდა, როგორც ყველაფერს სხვას. მეტყველების
 წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა“.

¹⁵ იხ. გრ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.